შპს მშენებელი 2009

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

პრაქტიკოსის ანგარიშთან ერთად

სარჩევი:

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ....3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

სრული შემოსავლის ანგარიშგება 5

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება....6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია....8
2. მომზადების საფუძველი 8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები....9
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 10
5. ძირითადი საშუალებები 14
6. იჯარები 14
7. მარაგები....15
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 15
9. ფული და ფულის ეკვივალენტები 15
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები....16
11. შემოსავალი/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება....16
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები....16
13. შემოსავალი/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა 17
14. პირობითი ვალდებულებები 17
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 17
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 18
17. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი 18
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 20

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი,
საქართველო

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ შპს „მშენებელი 2009“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ განვახორციელეთ შპს „მშენებელი 2009“-ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დასს) 4410-ის (გადასინჯული) – “კომპილაციური გარიგებები” - შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მე-18 განმარტებით შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მე-18 განმარტებით შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

როგორც აღნიშნულია მე-18 განმარტებით შენიშვნაში, თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული და წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გარდა ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც საწყისი აღიარების შემდეგ აღრიცხულია ისტორიულ ღირებულებას და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით, ნაცვლად იმისა, რომ ასახულიყო ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

თბილისი, საქართველო

8 სექტემბერი, 2020

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს „მშენებელი 2009“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ განვახორციელეთ შპს „მშენებელი 2009“-ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დასს) 4410-ის (გადასინჯული) – “კომპილაციური გარიგებები” - შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მე-18 განმარტებით შენიშვნაში მოცემული საღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მე-18 განმარტებით შენიშვნაში მოცემული საღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

როგორც აღნიშნულია მე-18 განმარტებით შენიშვნაში, თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული და წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გარდა ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც საწყისი აღიარების შემდეგ აღრიცხულია ისტორიულ ღირებულებას და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით, ნაცვლად იმისა, რომ ასახულიყო ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

თბილისი, საქართველო

8 სექტემბერი, 2020

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის ბიდიო ინტერნეშნალ ლიმიტედის წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	553,415	1,014,617
აქტივის გამოყენების უფლება	6	330,400	-
არამატერიალური აქტივები		255	432
		884,070	**1,015,049**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	225,708	500,387
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,060,182	1,060,447
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	356	15,552
		1,286,246	**1,576,386**
სულ აქტივები		**2,170,316**	**2,591,435**
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		1,944,967	2,227,830
		1,945,167	**2,228,030**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	-	44,866
		-	**44,866**
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	48,069	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	177,080	318,539
		225,149	**318,539**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,170,316**	**2,591,435**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 8 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გიგი დვალი

მთავარი ბუღალტერი _____ ნინო ბატიაშვილი

8 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მშენებელი 2009

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	553,415	1,014,617
აქტივის გამოყენების უფლება	6	330,400	-
არამატერიალური აქტივები		255	432
		884,070	**1,015,049**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	225,708	500,387
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,060,182	1,060,447
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	356	15,552
		1,286,246	**1,576,386**
სულ აქტივები		**2,170,316**	**2,591,435**
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		1,944,967	2,227,830
		1,945,167	**2,228,030**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	-	44,866
		-	**44,866**
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	48,069	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	177,080	318,539
		225,149	**318,539**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,170,316**	**2,591,435**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 8 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გიგი დვალი

მთავარი ბუღალტერი _____ ნინო ბატიაშვილი

8 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	11	1,394,252	3,608,859
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(1,087,696)	(1,741,855)
		306,556	**1,867,004**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(362,807)	(295,885)
საოპერაციო მოგება		**(56,251)**	**1,571,119**
შემოსავალი/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	13	66,584	(4,572)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		(16,763)	(41,530)
სხვა ხარჯი, წმინდა		(8,396)	(21,224)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**(14,826)**	**1,503,793**

8 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2017	**200**	**966,141**	**966,341**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,503,793	**1,503,793**
დივიდენდის გაცემა	-	(242,104)	**(242,104)**
31 დეკემბერი 2018	**200**	**2,227,830**	**2,228,030**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(14,826)	**(14,826)**
დივიდენდის გაცემა	-	(268,037)	**(268,037)**
31 დეკემბერი 2019	**200**	**1,944,967**	**1,945,167**

8 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(14,826)**	**1,503,793**
კორექტირებები:			
ცვეთა		95,130	120,109
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	12	295,341	74,791
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		26,913	-
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		16,763	41,530
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		-	3,298
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან		8,396	21,794
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება), წმინდა		(66,584)	4,572
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		**361,133**	**1,769,887**
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:			
მარაგების შემცირება/(ზრდა)		269,568	(385,733)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(209,704)	(2,059,640)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(21,952)	954,462
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**399,045**	**278,976**
გადახდილი პროცენტები		(16,763)	(11,236)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**382,282**	**267,740**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(415)	(82,661)
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	71,495
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(415)**	**(11,166)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება		-	377,390
სესხების დაფარვა		-	(377,390)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(129,026)	-
გადახდილი დივიდენდი		(268,037)	(242,104)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**(397,063)**	**(242,104)**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**(15,196)**	**14,470**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	**15,552**	**1,082**
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	13	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	**356**	**15,552**

8 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მშენებელი 2009" (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2009 წლის 30 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია; ქ.თელავი, ფალიაშვილის N27.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის წილის მფლობელი არის შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი - 100%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობისთვის განკუთვნილი ტექნიკის იჯარით გაქირავება და გზების კაპიტალური მშენებლობა და რეკონსტრუქცია.

2. მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 18-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

კომპანია არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში. კომპანია არ იყენებს ახალ ფასს-ებს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანაგრიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. როგორც შენიშვნა 16-ში არის აღნიშნული, ხელმძღვანელობამ განიხილა კორონა ვირუსის - Covid 19-ის გავლენა კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე. კომპანიისთვის დამახასიათებელი ოპერაციების გათვალიწინებით კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან და არსებით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არის შემდეგი:

ფასს 16 „იჯარა“

გავლენა, რომელიც აღნიშნულმა სტანდარტმა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია მე-17 შენიშვნაში.

სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია ბასსკ-ის მიერ და ძალაში შევა მომდევნო წელს, არ არის მოსალოდნელი, რომ გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ისინი ან არ არიან რელევანტური კომპანიის საქმიანობასთან ან კომპანიას უკვე აქვს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც თავსებადია მათთან.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები**
  ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის ხელმძღვანელობა სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

- **ფინანსური აქტივების გაუფასურება:**
  კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანია აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებდ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებელბზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.1 ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს საიჯარო და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,017,430	941,969
ფული და ფულის ეკვივალენტები	356	15,552
	1,017,786	**957,521**
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	48,069	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	167,812	357,235
	215,881	**357,235**

4.2 ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითზებზე, ხელმძღვანელობამ მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

4.3 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით.

ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

4.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ძირითადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ფული და ფულის ეკვივალენტებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.
ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,017,430	941,969
ფული და ფულის ეკვივალენტები	356	15,552
	1,017,786	**957,521**

4.5 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	167,812	-	-	**167,812**
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	48,069	-	-	**48,069**
	215,881	**-**	**-**	**215,881**

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	312,369	44,866	-	**357,235**
	312,369	**44,866**	**-**	**357,235**

4.6 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშრებული მომავალი ფულადი

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ნაკადების მერყეობაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

4.7 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

4.8 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

სავალუტო რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019 აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარი	31.12.2018 აშშ დოლარი 1 = 2.6766 ლარი
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	48,069	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	164,372
	48,069	**164,372**
ღია სავალუტო პოზიცია	**48,069**	**164,372**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(9,614)	9,614

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(32,874)	32,874

4.9 ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შეძლოს მომავალში მეწილეებზე დივიდენდების გაცემა და შესთავაზოს მეწილეებს ადეკვატური დივიდენდი სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად; მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლებლების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალური სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან დასაკორექტირებლად, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მეწილეებს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	აღჭურვილობა და დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,223**	**36,455**	**273,905**	**39,901**	**1,056,805**	**1,426,289**
შემოსვლა	-	-	3,297	-	109,520	**112,817**
გასვლა	-	(6,641)	(150,268)	(12,471)	(20,800)	**(190,180)**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,223**	**29,814**	**126,934**	**27,430**	**1,145,525**	**1,348,926**
შემოსვლა	-	4,500	1,203	-	-	**5,703**
რეკლასიფიკაცია ფასს 16-ის მიზნებისთვის		-	-	-	(403,691)	**(403,691)**
გასვლა	-	-	(2,033)	-	(20,860)	**(22,893)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,223**	**34,314**	**126,104**	**27,430**	**720,974**	**928,045**
დაგროვილი ცვეთა						
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(15,450)**	**(123,666)**	**(19,270)**	**(119,428)**	**(277,814)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(2,425)	(18,072)	(4,597)	(94,839)	**(119,933)**
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა		3,405	47,289	10,168	2,576	**63,438**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(14,470)**	**(94,449)**	**(13,699)**	**(211,691)**	**(334,309)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(2,351)	(16,896)	(1,201)	(74,682)	**(95,130)**
რეკლასიფიკაცია ფასს 16-ის მიზნებისთვის	-	-	-	-	46,378	**46,378**
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა		-	1,696	-	6,735	**8,431**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(16,821)**	**(109,649)**	**(14,900)**	**(233,260)**	**(374,630)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	**19,223**	**15,344**	**32,485**	**13,731**	**933,834**	**1,014,617**
31 დეკემბერი 2019	**19,223**	**17,493**	**16,455**	**12,530**	**487,714**	**553,415**

6. იჯარები

კომპანიას ფინანსური იჯარით აქვს აღებული სატრანსპორტო საშუალებები შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიისგან. კომპანიას ასევე აქვს იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც წინა პერიოდში, ბასს 17-ის მიხედვით კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა. ყველა საიჯარო ხელშეკრულებით საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული და განსაზღვრულია აშშ დოლარში.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**357,313**	**357,313**
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(26,913)	**(26,913)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**330,400**	**330,400**

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**164,373**	**164,373**
საპროცენტო ხარჯი	16,763	**16,763**
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(129,026)	**(129,026)**
პროცენტის გადახდა	(16,763)	**(16,763)**
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	12,722	**12,722**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**48,069**	**48,069**

2019 წლის 31 დეკემბრისთვის საიჯარო ვალდებულების ვადიანობის ანალიზი შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 დან 12 თვემდე	1 დან 2 წლამდე	2 დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
სატრანსპორტო საშუალებები	33,800	14,269	-	-	-	**48,069**

7. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
სამშენებლო მასალები	225,708	498,216
საწვავი	-	2,171
	225,708	**500,387**

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,422,041	1,051,239
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(404,611)	(109,270)
	1,017,430	**941,969**
არაფინანსური მოთხოვნები		
წინასწარ გადახდილი ხელფასი	-	53,324
საგადასახადო აქტივი	688	26,061
სხვა მოთხოვნა	42,064	39,093
	42,752	**118,478**
	1,060,182	**1,060,447**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	> 180 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	5%	10%	50%	
სავაჭრო მოთხოვნა						
მთლიანი ღირებულება	66,364	99,450	212,465	328,850	714,912	**1,422,041**
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	664	2,983	10,623	32,885	357,456	**404,611**

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	> 180 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	5%	10%	50%	
სავაჭრო მოთხოვნა						
მთლიანი ღირებულება	82,960	243,508	174,484	456,835	93,452	**1,051,239**
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	831	7,305	8,724	45,684	46,726	**109,270**

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2019	2018
რეზერვი წლის დასაწყისში	**(109,270)**	**(34,479)**
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	(295,341)	(74,791)
რეზერვის წლის ბოლოს	**(404,611)**	**(109,270)**

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულება	128,470	176,911
გადასახდელი ხელფასები	39,342	15,952
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	-	119,506
	167,812	**312,369**
მოკლევადიანი არაფინანსური ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	9,268	6,170
	9,268	**6,170**
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება		
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	-	44,866
	167,812	**357,235**
	177,080	**363,405**

სავაჭრო ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

11. შემოსავალი/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი იჯარიდან	1,024,415	888,466
შემოსავლები სამშენებლო მომსახურებიდან	342,944	2,610,952
შემოსავალი საცალო გაყიდვებიდან	26,893	109,441
	1,394,252	**3,608,859**

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სამშენებლო მომსახურებასთან დაკავშირებული მასალების ხარჯი	(423,778)	(449,841)
შრომის ანაზღაურება	(357,968)	(925,386)
ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი	(140,885)	(29,090)
იჯარით გაცემული აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	(51,171)	(65,393)
სამშენებლო მომსახურების გაწევისთვის გამოყენებული აქტივების ცვეთა	(40,556)	(54,716)
საცალოდ რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	(34,273)	(99,655)
იჯარა	(7,686)	(89,049)
საწვავი	(4,466)	(28,725)
იჯარით აღებული აქტივის ცვეთა	(26,913)	-
	(1,087,696)	**(1,741,855)**

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(295,341)	(74,791)
შრომის ანაზღაურება	(40,853)	(52,688)
საგადასახადო ხარჯი	(6,934)	-
პროფესიული მომსახურება	(6,678)	(15,000)
საიჯარო ქირა	(3,559)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,403)	-
კომუნალური	(974)	-
ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტი	-	(131,622)
სხვა	(5,065)	(21,784)
	(362,807)	**(295,885)**

13. შემოსავალი/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

შემოსავალი/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა წარმოდგენს მხოლოდ არარეალიზებული საკურსო სხვაობის ეფექტს.

14. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია აუღიარებელი მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის ,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირადაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირადაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ურთიერთობა	31.12.2019 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31.12.2019 შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		**963,234**	**1,060,182**
შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი	დამფუძნებელი	963,234	
შემოსავალი		**1,049,495**	**1,394,252**
შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი	დამფუძნებელი	1,049,495	

	ურთიერთობა	31.12.2018 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31.12.2018 შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		**763,642**	**1,060,447**
შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი	დამფუძნებელი	763,642	
შემოსავალი		**2,317,914**	**3,608,859**
შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი	დამფუძნებელი	2,317,914	

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შრომითი ანაზღაურება	10,332	9,400

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო

- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე

- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით

- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

17. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი

კომპანია იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. ამ ცვლილების ეფექტი, მოცემულია ქვემოთ.

ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასიკ 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება. ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან.

გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალება იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება არ მოხდა

ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ

17.სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი (გაგრძელება)

კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:

ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში;

ბ) არ აღიარა აქტივების გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ამგვარი იჯარები მოკლევადიანი იჯარების მსგავსად აღირიცხება.

როგორც მოიჯარე, კომპანია ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, კომპანია აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას.

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად კომპანიამ აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:

კლასიფიკაცია ბასს 17-ით	აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღრიცხვა
ფინანსური იჯარა	აღიარებულია ფასს 16 დანერგვის თარიღამდე არსებული საბალანსო ღირებულებით (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის არეები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

		31 დეკემბერი 2018	ფასს 16	1 იანვარი 2019
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	(ა)	1,014,617	(357,313)	**5,509,063**
აქტივის გამოყენების უფლება	(ა)	-	357,313	**357,313**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(ბ)	44,866	(44,866)	**-**
საიჯარო ვალდებულება	(ბ)	-	44,866	**44,866**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	(გ)	-	119,506	**119,507**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(დ)	318,539	(119,506)	**197,240**

ა) აქტივის გამოყენების უფლება გაიზარდა და ძირითადი საშუალებების ღირებულება შემცირდა 357,313 ლარით, წინა პერიოდში ფინანსურ იჯარად კლასიფიცირებული ოპერაციების მიხედვით.

ბ) წინა პერიოდში ფინანსური იჯარიდან აღიარებული ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან რეკლასიფიცირდა საიჯარო ვალდებულებებში ჯამური თანხით 44,866 ლარი.

გ) წინა პერიოდში ფინანსური იჯარიდან აღიარებული ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან რეკლასიფიცირდა საიჯარო ვალდებულებებში ჯამური თანხით 119,506 ლარი

დ) ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს თანხების შეჯერებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებიდან ფასს 16 მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებულ საიჯარო ვალდებულებამდე.

	01.01.2019
საიჯარო ვალდებულება ბასს 17 მიხედვით საოპერაციო იჯარიდან	**-**
დამატებული: ბასს 17 მიხედვით ფინანსური იჯარის ვალდებულება	164,373
დამატებული: სავაჭრო ვალდებულება ბასს 17 მიხედვით საოპერაციო იჯარიდან	-
გამოკლებული: წინასწარ გადახდები ბასს 17 მიხედვით საოპერაციო იჯარიდან	-
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**164,373**

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

18.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

18.2 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამშენებლო მომსახურების გაწევა. შემოსავალი სამშენებლო მომსახურების გაწევიდან აღიარდება დროთა განმავლობაში გამოყენებული რესურსების მეთოდის გამოყენებით.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელზე გადაეცემა მომხმარებელს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.
დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც წესი, არაარსებითია, შესაბამისად, კომპანია საკონტაქტო ღირებულების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებს. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:
• არ განიხილავს დაფინინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
• ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ

აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

18.3იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და

იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

კომპანია ფასს 16-ს იყენებს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის დროს. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის ეფექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 17-ე შენიშვნა. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;

მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და

იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა ფინანსურია თუ საოპერაციო დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის დაწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფინანსური იჯარით გადაცემული აქტივები წარდგება, როგორც მოთხოვნები, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიციის შესაფასებლად გამოიყენება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. ქვეიჯარის შემთხვევაში, თუ ქვეიჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება ძირითადი იჯარის მიმართ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი.

იჯარის ვადის განმავლობაში ფინანსური შემოსავალი ისეთი სქემის საფუძველზე აღიარდება, რომელიც ასახავს მეიჯარის წმინდა საიჯარო ინვესტიციის უკუგების მუდმივ (უცვლელ) პერიოდულ განაკვეთს.

ფინანსური იჯარის აღიარების შეწყვეტისა და გაუფასურების პოლიტიკა შეესაბამება ფინანსური აქტივების შესაბამის პოლიტიკას.

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო გადახდები აღიარდება, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდით, ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ იგი უფრო ადეკვატურად ასახავს საიჯარო აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლის შემცირების მოდელს/სქემას.

18.4ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

18.5გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

18.6ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს: ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობება-ნაგებობები	10-15
აღჭურვილობა და დანადგარები	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8
სატრანსპორტო საშუალებები	10-15

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

18.7არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 8 წელი.

18.8მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

18.9ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგად კომპანიას არა აქვს, ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, რეალური ალტერნატივა. იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების); ბ) კანონმდებლობის; ან გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად. კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის საქმიანობის შედეგად, როდესაც: ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინაე განცხადების საშუალებით კომპანიამ სხვა მონაწილე მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში აღიარებს გარკვეულ ვალდებულებას; და ბ) შედეგად კომპანიამ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

18.10 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

18.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ყველა აქტივი დაკლასიფიცირებულია როგორც „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულის და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით.

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფინანსურ აქტივებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება შეიცვალა ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტებით. ახალი სტანდარტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებები შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად - „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. კომპანია ირჩევს მისი ფინანსური ვალდებულებებისთვის შესაფერის ბიზნეს მოდელს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

18.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

18.13 დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღაირდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

18.14 ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

18.15 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.